დაიჯესტი

26 თებერვალი - 4 მარტი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

პირველ მარტს, მიჩიგანის შტატის სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობის მოთხოვნა 3 მამაკაცის მიერ გუბერნატორის გატაცების დაგეგმვის საქმეში.

ისრაელი

პალესტინის ისლამური ჯიჰადის წევრები, აბდულაჰ ალ ჰუსარი და შაჰიდ ნიჯერი დაიღუპნენ ჯენინის ლტოლვილთა ბანაკში ისრაელის თავდაცვის ძალებთან შეტაკების დროს. ტერორისტული ორგანიზაციის განცხადებით, ისინი საპასუხო დარტყმას განახორციელებენ.

ერაყი

პირველ მარტს, ერაყის საჰაერო ძალების F-16 ტიპის გამანადგურებლებმა ანბარის პროვინციაზე ავიაიერიშის დროს დაეშის წევრობაში ეჭვმიტანილი 3 პირი მოკლეს. სპეცოპერაციის სამიზნე ანბარის პროვინციაში მყოფი ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლები იყვნენ.

ნიგერია

გავრცელებული ინფორმაციით, 25-27 თებერვალს სულ მცირე 13 ადამიანი დაიღუპა ბორნოს შტატში დაეშის დასავლეთ-აფრიკული ფრთის თავდასხმის შედეგად.

ავღანეთი

26 თებერვალს, ათობით შეიარაღებულმა თალიბანის მებრძოლმა ქაბულში მცხოვრები ერთ-ერთი მუშის სახლი დაარბია. მუშის მეუღლის განცხადებით, ისინი ეძებდნენ იარაღს და ადანაშაულებდნენ მის ქმარს წინა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში.

27 თებერვალს, თალიბანის სპიკერმა ზაბიჰულაჰ მუჯაჰიდმა განაცხადა, რომ თალიბანი აღარ დაუშვებს მეტი ავღანელის საზღვარგარეთ წასვლას, სანამ ემიგრაციის კუთხით არსებული მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.

პაკისტანი

27 თებერვალს, სამხედროებმა განაცხადეს, რომ პაკისტანის უსაფრთხოების ძალებმა დაარბიეს მებრძოლთა სამალავი. დარბევის შედეგად დაიღუპა ერთო მებრძოლი, რომელიც მონაწილეობას გასულ თვეს უსაფრთხოების სამსახურზე განხორციელებულ თავდასხმაში.

ფილიპინები

პირვლე მარტს ეროვნული გვარდია თავს დაესხმა დაეშთან აფილირებულ მუსლიმ მეამბოხეებს. ოფიციალური განცხადების მიხედვით, თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი მეამბოხე და ერთი ეროვნული გვარდიის წევრი.